საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/77

ქ. ბათუმი 08 ივლისი, 2020 წელი

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფარმაცევტის თანაშემწე" (2018 წლის საგაზაფხულო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის შექმნისა და პრაქტიკის დაცვის ადგილისა და დროის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 თებერვლის № 01-02/30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/12 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, „ქვეყანაში კორონა ვირუსი თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის №01-10/37 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის N 01-02/139 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 23 მარტის N01-02/37 ბრძანების,** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2020 წლის 6 ივლისის №566168 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფარმაცევტის თანაშემწე" (2018 წლის საგაზაფხულო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის შექმნისა და პრაქტიკის დაცვის ადგილისა და დროის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 თებერვლის **№ 01-02/30** ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) **№ 01-02/30 ბრძანების პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწე“ პროფესიულ სტუდენტთა **(2018 წლის საგაზაფხულო მიღება)** საწარმოო პრაქტიკის დაცვა ჩატარდეს **2020 წლის 20 ივლისს, 10.00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, ბსუ-ს მე-2 კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი N223) საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის წინაშე:

ა) გულადი ფარტენაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის **თავჯდომარე;**

ბ) ლელა ვერძაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი, კომისიის წევრი, **მდივანი;**

გ) სოფიო ბრუნჯაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი;

დ) ეთერი ჯაყელი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწე“ ხელმძღვანელი;

ე) მანანა ბაუჟაძე - კომპანია „გოლდ ფარმა“-ს დირექტორი, დამსაქმებელი.

ბ) **№ 01-02/30 ბრძანების მე-2 პუნქტი ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.**

2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება, ასევე შეტყობინებების შესაბამისი პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების პერსონალისათვის დაგზავნა.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'' და „რექტორის აქტები“).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს), ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწე“ ხელმძღვანელს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**